საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

ინფორმაცია კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესის და პროცედურების შესახებ

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში კონკურსის პროცედურებთან და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის წესი რეგულირდება „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების შესაბამისად.

კანდიდატს, რომელმაც ვერ გაიარა კონკურსის პირველი ეტაპი, უფლება აქვს, ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, წერილობითი განცხადებით მიმართოს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს, კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების გადამოწმების მოთხოვნით.

ბიურო ვალდებულია, კანდიდატის მიმართვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და შედეგები დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს და ასევე კანდიდატს.

თუ საჯარო სამსახურის ბიურო დაადგენს განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობას, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საკონკურსო კომისია ვალდებულია დაუშვას კანდიდატი კონკურსის მომდევნო ეტაპზე.

კონკურსის მონაწილე კანდიდატს ასევე აქვს უფლება, კონკურსის პროცედურების, ეტაპებისა და შედეგების თაობაზე მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.